

# ენერგეტიკული გაერთიანება: ნენსკრა ჰესის პროექტის სახელმეკრულებო ჩარჩო შერჩევით უპირატესობას ანიჭებს ერთ კომპანიას

 [cactus-media.ge/index.php](http://cactus-media.ge/index.php)



გარემო

**ენერგეტიკული გაერთიანება: ნენსკრა ჰესის პროექტის სახელმეკრულებო ჩარჩო შერჩევით უპირატესობას ანიჭებს ერთ კომპანიას**

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოსაზრებით, ნენსკრა-ჰესის პროექტის **ხელმეკრულება** პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს ერთ პროექტსა და კომპანიას: ნენსკრა ჰესს და მშენებელ კომპანიას.

ენერგეტიკულ გაერთიანებას, რომლის წევრი საქართველო 2012 წლის 21 ოქტომბერს **გახდა**, ხოლო წევრობა ძალაში 2017 წელს შევიდა, გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივამ” 2019 წლის 2 აგვისტოს მიმართა და ნენსკრა-ჰესის პროექტის ხელმეკრულება გაასაჩივრა. “მწვანე ალტერნატივამ” ამ საჩივარზე დასკვნითი პასუხი სამი წლის შემდეგ - მიმდინარე წლის 21 სექტემბერს - მიიღო.

დაკვნითი წერილის მიხედვით, რომელიც “მწვანე ალტერნატივას” საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონიტორინგის პროგრამის კოორდინატორ დათო ჭიპაშვილს გაუგზავნა ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ, **ნენსკრას ინვესტორი კომპანიის კონტრაქტის ჩარჩო**

**შერჩევით უპირატესობას ანიჭებს “სააქციო საზოგადოება ნენსკრა ჰესს”, რადგან პირობები არაა შესაბამისობაში ლიბერალური ენერგეტიკული ბაზრის მოთხოვნებთან.**

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოსაზრებით, განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს [ესკო] აქვს ვალდებულება, რომ კომპანიის გენერირებული და სისტემისთვის მიცემული ენერგია სახელმწიფომ კომპანიისგან 36 წლის განმავლობაში ფიქსირებულ ფასად უნდა იყიდოს [ბაზარზე ენერჯის ფასების ცვლილების მიუხედავად]; ასევე საგულისხმოა კომპანიისთვის მიწის სიმბოლურ, მცირე ფასად გადაცემა და მთელი რიგი გადასახადებისგან გათავისუფლება, როგორც მისი პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენების მაგალითები [დამატებითი ღირებულების გადასახადი, VAT და კორპორაციული გადასახადი].

ამჟამად პროექტი შეჩერებულია, რადგან ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა და ევროპის საინვესტიციო ბანკმა, რომლებმაც პროექტისთვის სესხები დაამტკიცეს - 214 მილიონი და 150 მილიონი, შესაბამისად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხელი არ მოაწერეს სასესხო ხელშეკრულებას, რადგან 2020 წლის სექტემბერში აღმოაჩინეს, რომ პროექტი შესაბამისობაში არაა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების **გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან.**

ნენსკრა-ჰესის ინვესტორი კორეული სახელმწიფო კომპანია K-water-ია.

ნენსკრა ჰესის აშენებაზე ხელშეკრულება პირველად 2015 წლის 31 აგვისტოს დაიდო. მასში ცვლილებები 2017 წლის 17 ივნისს შევიდა.

ხელშეკრულება დადებულია ოთხ მხარეს შორის: საქართველოს მთავრობა, ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი [ესკო], სახელმწიფო ელექტროსისტემა [სსე] და საპარტნიორო ფონდი.

პროექტის საერთო ღირებულება 1,031 მილიარდია ა.შ.შ. დოლარია.

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი “ნენსკრა-ჰესის” ინვესტორი კომპანიის K-Water-ის აღმასრულებელ დირექტორს პარკ ჯე-ჰიონს **შეხვდა.** ირაკლი ლარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა ინვესტორებს “ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს სთავაზობს.”